

## **ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი- 06 07)**

- 1. პროგრამის სახელწოდება:** ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა რომელიც ეხება-
  - კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.
  - კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

**2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი---10 000 (ათი ათასი) ლარი.**

**3. პროგრამის დაფინანსების წყარო:**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი .

**4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური, სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

**6. პროგრამის მიზნები:**

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფა, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით მატერიალური დაფინანსების გაწევა.

**7. პროგრამის შედეგები:**

პროგრამის განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

**8 . დახმარების გაცემის წესი:**

ფულადი დახმარების გაცემა და თანხის ჩარიცხვა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების პირად საბანკო ანგარიშზე .

**9. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:**

1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევა- თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება-თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

#### **10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები.

#### **11. მოსალოდნელი შედეგი:**

პროგრამის განხორციელების შედეგად: გარკვეულ წილად გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური ფონი, გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ასევე ხელი შეეწყობა უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენის შემცირებას, გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა.